დღეს ნომერში 8

- „თეთრი მარგალიტი" უფრო მეტად უნდა ბრწყინავდეს
- ნიჩბოსნები გზას მიიკვლევენ ... მთებისაკენ
- ორ ვაკანსიაზე — რვა კანდიდატი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 5 (2625) ● შაბათი, 9 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ტელეფონთანაა ლონდონი

როგორც კი დამთავრდა ჰასტინგსის ტრადიციული საშობაო საჭადრაკო ტურნირი, „ლელოს" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ინგლისის ამ პატარა საზღვაო ქალაქს, მაგრამ...

— მის ნონა მისტერ კერესთან ერთად ამ 10 წუთის წინ ლონდონს გაემგზავრა, — გვითხრა ჰასტინგსის ტელეფონისტმა ქალმა. — ნუ წუხართ, ჩვენ ვიცით ლონდონში მათი ადგილსამყოფელი. თქვენ ნულარ გაირჯებით, ჩვენ თვითონ დაგირეკავთ ლონდონიდან...

და აი, ტელეფონის ზარი ინგლისის დედაქალაქიდან...

ტელეფონთანაა ნონა გაფრინდაშვილი.

● ნონა, გილოცავთ წარმატებას.

— გმადლობთ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაინცდამაინც არც კი ვარ კმაყოფილი ჩემი შედეგით...

● რატომ? V ადგილი ასეთ ტურნირში ხომ თვალსაჩინო მიღწევაა!

— ობიექტურად რომ ვთქვათ, სწორი ბრძანდებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასაწყისში მე ცუდად წამივიდა „ბალანსი". სტარტზე სულ ცოტა ნაღდი 1 ქულა დავკარგე. მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა...

● როგორ შეხვდნენ მანდ თქვენს შედეგს?

— ო, დიდის აღფრთოვანებით. იყო გაუთავებელი მოლოცვები და კეთილი სურვილები...

● როგორი იყო თამაშის რეგლამენტი?

— რეგლამენტი საკმაოდ მძიმე გახლდათ. ჩვენ, საშობაო ფესტივალის ყველა ტურნირის მონაწილენი, ერთ დიდ დარბაზში ვთამაშობდით, სადაც მრავალრიცხოვან მაყურებელს არ უშლიდნენ... თამბაქოს მოწევას. ვთამაშობდით ადგილობრივი დროით 2-დან 7 საათამდე. დილდილობით კი, 10-დან 12 საათამდე, ვამთავრებდით წინა დღით გადადებულ პარტიებს.

● ამრიგად, თქვენ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო გქონდათ?

— დიახ, თავისუფალი დრო ცოტა გვქონდა. და ამ დროს, ასე ვთქვათ, აქტიურად ვისვენებდით. მე, მაგალითად, მას თითქმის მთლიანად მაგიდის ჩოგბურთს ვუთმობდი და წარმატებითაც...

● საკუთარი შეხვედრებიდან რომელი პარტია მოგწონთ ყველაზე უფრო?

— პარტია კერესთან. საქმე ისაა, რომ პატივცემულ პაულთან შავებით თამაში ძალზე ძნელია. თანაც კერესი, მიუხედავად მისი ჯენტლმენური ბუნებისა, თავიდანვე საოცრად აგრესიულად იყო განწყობილი. მას ძალიან უნდოდა მოგება, მაგრამ ეს პარტია, როგორც იცით, ყაიმით დამთავრდა. იგი 7 საათს გაგრძელდა!

● ვისი თამაში მოგეწონათ?

— ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენმა კერესმა და სავსებით დამსახურებულადაც აიღო 1 ადგილი. ძალიან მომეწონა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონის, რუმინელ გეორგიუს თამაში. იგი უაღრესად საინტერესო მოჭადრაკეა. პარტიებიდან მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰინდლისა და გლიგორიჩის ბოლო ტურში გათამაშებულმა შეხვედრამ. ჰინდლმა შავი დღე აყარა სახელგანთქმულ იუგოსლაველ დიდოსტატს. ხიცილიურ პარტიაში მან თავის მრისხანე მეტოქეს ფიგურა შეწირა და მერე პირდაპირ გაანადგურა.

● როგორ განაწილდა თქვენი მომდევნო ადგილები?

— მეექვსე ადგილზეა ჰინდლი — 4,5 ქულა, მეშვიდეზე — როშა — 3,5, მერვე-მეცხრეზე — ლი და ლიტლვუდი — 2 ქულა თვითეულს, მეათეზე — მარდლი — 1 ქულა.

● როგორ დამთავრდა „ჩელენჯერ-ტურნირი"?

— „ჩელენჯერ-ტურნირში" I—II ადგილები გაიყვეს მოსკოველმა სტუდენტმა ი. რაზუვაევმა და ნიკოლაიმ (გფრ).

● როდის მოდიხართ სამშობლოში?

— სამშაბათს მოვფრინავთ მოსკოვს. დიდი მოკითხვა გადაეცით „ლელოს" მკითხველებს.

ამ ორ პირმცინარ გოგონას, ფოტოსურათიდან რომ გვიცქერიან, არა მარტო ჩოგბურთის სიყვარული აკავშირებთ, არამედ მერხის მეგობრობაც. ისინი ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები არიან. ოლღა ანასტასიადი (მარჯვნივ) და ზინაიდა აუბა სწავლასა და სპორტს კარგად უხამებენ ერთმანეთს.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

საათი!

◆ **მოსკოვი**, 8 იანვარი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას" ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვა „დინამომ" — 3:0. იუგოსლაველთა თხოვნით, მერვედფინალის მეორე თამაშიც მოსკოვში შედგება. იგი გაიმართება 10 იანვარს.

◆ **ოსლო**, 8 იანვარი. საბჭოთა მოციგურეები აგრძელებენ თავიანთ გამოსვლებს ნორვეგიაში. დღეს შიენში გამართულ ასპარეზობაში შესანიშნავი შედეგები მოიპოვა ინგა ვორონინამ, რომელმაც ყველას აჯობა 500 (46,0) და 3.000 მეტრზე (5.16,7) რბენაში. ბორის გულიაევი პირველი იყო 500 მ რბენაში — 41,0.

◆ **პარიზი**, 8 იანვარი. 1964 წლის სეზონის შედეგების მიხედვით, საფრანგეთის უძლიერეს სპორტსმენებად გამოაცხადეს სახელგანთქმული სამთო-მოთხილამურეები, დები კ. და მ. გოიჩელები. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საუკეთესოთა სიის პირველი სტრიქონები ქალებს უჭირავთ.

136:90

სტოკჰოლმი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალვიკისა" და იუგოსლავიის „ბეოგრადის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 136:90 (60:44).

მვარდია იწყებს მზადებას



საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს გაუთავდათ არდადეგები. ახალი წლის დამდეგს იწყება მზადება მომავალი საინტერესო სეზონისათვის.

რთული და მრავალფეროვანია წინასასეზონო მზადების პროგრამა: ტანვარჯიში, კროსები, ცურვა, სპორტული თამაშები, თხილამურები, ჰოკეი და სხვ. სამხრეთის საწვრთნელ ბაზებზე შეკრების დაწყებამდე სპორტსმენის ორგანიზმი უნდა თანდათან მომზადდეს მაღალი დატვირთვის ასატანად.

სსრ კავშირის ჩემპიონს — თბილისის „დინამოს" წესად აქვს წინასასეზონო მზადების დაწყება ბაკურიანში. ჩვენი საუცხოო სამთო კურორტის ჰავა და თოვლი, თხილამურებით სიარული, კროსები, საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები საუკეთესო საშუალებაა პირველადი მზადებისთვის. ისევე როგორც შარშან, გუნდის წვრთნას ხელმძღვანელობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. კაჩალინი და ა. ღოღობერიძე, სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე.

მოვიდა ცნობა ქუთაისიდანაც. ინტენსიურ წვრთნას შეუდგა ტორპედოელთა კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია (მწვრთნელები — სპორტის ოსტატები ა. ნორაკიძე და ჯ. რუსაძე). აქ ჯერჯერობით ერთობ არასაფეხბურთო ამინდია, მაგრამ სასწავლო-საწვრთნელი გეგმა ამ პერიოდში ძირითადად დარბაზში ვარჯიშს ითვალისწინებს, ხოლო მძლეოსნური კროსის ჩასატარებლად ამინდს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში არის რამდენიმე ახალი წევრი. ძირითადად ესაა კარგი მონაცემების მქონე, პერსპექტიული ახალგაზრდობა, რომლებიც მწვრთნელებმა შეარჩიეს ამას წინათ მოწყობილ საწვრთნელ შეკრებაზე ახლომდებარე რაიონების ფეხბურთელთაგან. იანვრის დასასრულს ქუთაისელი ფეხბურთელები სავარჯიშოდ გაემგზავრებიან ოჩამჩირეში.

წინასასეზონო **წვრთნას შეუდგა თბილისის „ლოკომოტივიც"** (უფროსი მწვრთნელი — უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი ი. ლობჟანიძე, გუნდის უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზ. ქვარიანი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი თ. მელაშვილი). საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე, დიღომში ჩატარებული რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ ლოკომოტიველები ორი კვირით გაემგზავრებიან ბაკურიანში, რის შემდეგ დაუბრუნდებიან დიღომს, სადაც გაივლიან მზადების ძირითად ციკლს.

* * *

ამრიგად, საფეხბურთო არდადეგები დამთავრდა. სსრ კავშირის ფეხბურთის გვარდია — „ა" და „ბ" კლასის ოსტატთა გუნდები იწყებენ მზადებას მომავალი დიდი სეზონისთვის.

მაღალი შედეგების სამახსოვროდ

წარსული წელი მძლეოსნებმა რამდენიმე მაღალი შედეგით აღნიშნეს. საკმარისია გავიხსენოთ ე. გორჩაკოვასა და მ. იტკინას მსოფლიო რეკორდები — პირველის—შუბის ტყორცნაში, ხოლო მეორესი — 400 მეტრზე რბენაში. ამ დღეებში სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ შესანიშნავი სპორტული მიღწევებისათვის სამახსოვრო სპორტული მედლებით დააჯილდოვა 9 მძლეოსანი. აი, ისინიც:

ნ. პოლიტიკო — 100 მ — 10,2. კიევი, 28 აგვისტო.

ლ. ბარკოვსკი — სიგრძეზე ხტომა — 803 სმ. ლოს-ანჟელოსი, 27 ივლისი.

ა. ვაუპშასი — სიგრძეზე ხტომა — 801 სმ. კიევი, 12 სექტემბერი.

მ. სტოროჟენკო — ათჭიდი — 8014 ქულა. კიევი, 29-30 აგვისტო.

მ. იტკინა — 400 მ — 53,0. კიევი, 29 აგვისტო.

ა. ჩუიკო — სიგრძეზე ხტომა — 649 სმ. კიევი, 12 სექტემბერი.

გ. ზიბინა — ბირთვის კვრა — 17,50 მ. კიევი, 27 აგვისტო.

ი. პრესი — ბირთვის კვრა — 17,21 მ. მინსკი, 31 მაისი. 80 მ თარჯრბენი — 10,5. კიევი, 9 აგვისტო.

ე. გორჩაკოვა — შუბის ტყორცნა — 62,40 მ. ტოკიო, 16 ოქტომბერი.

„სპორტსის" რეფერენდუმი

ლატვიურმა გაზეთმა „სპორტსმა" მკითხველთა რეფერენდუმის შედეგად დაასახელა ოლიმპიური სეზონის საუკეთესო ლატვიელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების სახელები. ყველაზე მეტი ხმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა გზატკეცილზე ველორბოლაში ე. სონკმა („დინამო"). მეორე ადგილზეა XVIII ოლიმპიადის ჩემპიონი ფრენბურთში ი. ბუგაენკოვი („დაუგავა"). მწვრთნელთა შორის პირველ ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ლატვიის დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი ვ. მაზალიტისი. მისმა აღზრდილმა ი. ლუსისმა ტოკიოში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა შუბის ტყორცნაში.

კოლმეურნე მოჭიდავეები — პირველნი

ამას წინათ გაიმართა ქ. ზესტაფონისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში. საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვეს „კოლმეურნის" სპორტსმენებმა. საუკეთესო ტექნიკისთვის საგანგებოდ დააჯილდოვეს „კოლმეურნის" წევრი ვ. კვინიკაძე.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: „კოლმეურნის" გუნდის წევრებმა დ. კაკაურიძემ, რ. წაქაძემ, (ორივენი — მეორე სვირის კოლმეურნეობიდან), ვ. კვინიკაძემ, ვ. მამაქველიძემ (ორივენი — კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან), მ. ბაქრაძემ (ალავერდის კოლმეურნეობა), ა. ჩერგელაშვილმა (საზანოს კოლმეურნეობიდან), ე. წაქაძემ და რ. ჯუღელმა (ორივენი—მეორე სვირის კოლმეურნეობიდან).

ჯ. ლაშქარაძე

ზესტაფონი.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დროს ბაკურიანში სათხილამურო სპორტის მრავალმა ნორჩმა მოყვარულმა მოიყარა თავი.

სურათზე: თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ლია მაღრაძე (მარჯვნივ) და მე-60 სკოლის მეოთხეკლასელი მანანა კვიჟიძე გასეირნების შემდეგ.

ფოტო გ. გენგიურისა.

ფიქრები კოხტა-გორასთან

1934 წლის ნოემბერს კოხტა-გორას ამხანაგებთან ერთად პირველად ეწვივნენ სამთო-სათხილამურო სპორტის მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტები, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები, ახლა სპორტის დამსახურებული ოსტატები და მწვრთნელები — ვიქტორ ანდრეევი, პეტრე როდიონოვი და პავლე დემენტიევი.

ისინი პირდაპირ განაცვიფრა ბუნების მშვენებამ, თოვლის სიუხვემ, ამ „მთის მარგალიტის“ მკვიდრთა სტუმართმოყვარეობამ და გულუხვმა მასპინძლობამ. ყოველივე ამით მოხიბლული მიხეილ ლებედევი აქვე დარჩა და ინსტრუქტორად ორ წელს იმუშავა. საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის ენთუზიასტების ს. გვალიას, ა. ბალაევიჩის, ვ. კოსმაჩევსკისა და სხვათა სახით მან მალე შექმნა კარგი კომპანია, რომელმაც შემდგომ ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში სპორტის ამ სახეობის გავითარებას.

მალე საკავშირო სათხილამურო ასპარეზზე გამოჩნდნენ ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. მესხიშვილი, საქართველოს სპორტკავშირის ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის დირექტორი ლ. ფანჯაკიძე და სხვები. საქართველოს ახალგაზრდობის „სპორტულ არსენალში“ იმ დროიდან მტკიცედ დამკვიდრდა სამთო თხილამურები, ხოლო რეგულარულმა სათხილამურო გადასვლებმა (ბაკურიანი — ლენინაკანი) მტკიცედ დააკავშირა სპორტის ამ სახეობის ქართველი და სომეხი მოყვარულები.

ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება სამამულო ომმაც ვერ შეაფერხა. პირიქით, იმ მძიმე წლებში აქ შეიქმნა ალპინიზმისა და სამთო-სათხილამურო საქმის სპეციალური სკოლა, რომელსაც ადგილობრივ კადრებთან ერთად მომსახურებას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ოსტატებიც.

და აი, შედეგიც: სამამულო ომის დამთავრებისთანავე ბაკურიანში მაღალკვალიფიციური სპორტსმენები, მათ შორის ოსტატებიც კი აღიზარდნენ. მეტიც: მ. გავამ 1947 წელს სწრაფდაშვებაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ბაკურიანი, მისი სამთო და სარბენი ტრასები ომის შემდეგ კიდევ უფრო პოპულარული გახდა. აქ ტრადიციად იქცა საკავშირო შეჯიბრებები, რომლებიც კოხტას ფერდობებზე ტარდება. 1954 წელს კოხტა-გორაზე, პირველად სსრ კავშირში, მწყობრში ჩადგა კიდული საბაგირო გზა, რომელსაც ახლა უკვე ათასობით მოყვარული გადაჰყავს მწვერვალისაკენ. გაიკაფა ახალი ტრასები, საგრძნობლად გაუმჯობესდა წვრთნის პირობები.

ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირი მართებულად მოიქცა, როცა 1962 წელს ბაკურიანში ჩაატარა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადა. ვარაუდობდნენ, რომ ღონისძიება კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ბაკურიანის ბაზების, ტრასების კეთილმოწყობასა და საქართველოს მოთხილამურეთა ტექნიკური არსენალის გამდიდრებას, გამოავლენდა ახალ ტალანტებს. მართლაც, ზამთრის I საკავშირო სპარტაკიადაში ორმა ბაკურიანელმა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა — ი. ჯანგობეგოვმა სლალომში უკან ჩამოიტოვა ბევრი აღიარებული ფავორიტი, ხოლო კ. წაქაძემ ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებით ერთხელ კიდევ გაახარა თანამემამულენი. სამთო სამჭიდის ჯამში საპრიზო ადგილი დაისაკუთრა შ. კოხანაშვილმა და სპორტის ოსტატიც გახდა. სპარტაკიადაზე კარგად გამოვიდნენ აგრეთვე გ. აბრამიშვილი, ლ. გოგოლაძე, ვ. ალახვერდოვი და სხვ.

უკანასკნელ ორ წელს ბაკურიანში არ ვყოფილვარ და ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ამ „თეთრ მარგალიტს“ კვლავ ვეწვიე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ აქვს. დაბა მნიშვნელოვნად გარდაქმნილა. მის სამხრეთ ფერდობზე აუშენებიათ თანამედროვე ტიპის სასტუმრო, კინოთეატრი... მალე დამთავრდება კომკავშირული გამაჯანსაღებელი ბანაკის კეთილმოწყობა (მან უკვე მიიღო პირველი სტუმრები). მიმდინარეობს სამთო-სათხილამურო და ტურისტთა ახალი ბაზების მშენებლობა. მალე დაიწყება „ინტურისტის“ მრავალსართულიანი სასტუმროს აგება და სხვ. ბაზებს შეაერთებს მოასფალტებული რკალური გზატკეცილი.

ყოველივე ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს სპორტსმენთა, ტურისტთა და სპორტის მოყვარულთა მომსახურებას. შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ეცნობი ახალი სპორტული ტრასების, საბაგირო გზების, ტრამპლინების მოწყობის გეგმას, მაგრამ!..

ასეთ დროში ვცხოვრობთ: აროდეს ვჯერდებით მიღწეულს. ზოგიერთი რამ კი სინანულსაც, ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაუგებრობასაც იწვევს.

კერძოდ, დასანანია, რომ დღემდე ცუდადაა მოწყობილი კოხტა-გორას კიდული საბაგირო გზა. მან პირველ წლებში დიდად შეუწყო ხელი საქართველოში და, საერთოდ, სსრ კავშირში სამთო სახეობათა განვითარებას. მაგრამ შემდეგ მოთხოვნილება გაიზარდა. გზა კი, გაუმჯობესებისა და სრულყოფის ნაცვლად, გაუარესდა. იგი ვეღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ორჯერ შემცირდა ბიუგელების რაოდენობა და, ცხადია, ორჯერ ნაკლებია გზის გამტარუნარიანობაც. მართალია, გზაზე არსებული დიზელური ძრავი ელექტროენერგიის რაიონულმა ქსელმა შეცვალა, მაგრამ ძრავის, ბიუგელისა და სხვა მოწყობილობათა ხშირი დაზიანება საგრძნობლად აფერხებს საწვრთნელ ვარჯიშებს. ეს ზოგჯერ წვრთნის ჩაშლით მთავრდება. ამას დაერთო ისიც, რომ გზაზე ორჯერ გაზარდეს საარენდო გადასახადი, რასაც ნაგებობის სამეურნეო ანგარიშზე ყოფნით ხსნიან. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ აქაც ხომ უნდა არსებობდეს რაღაც საზღვრები?

სინანულს იწვევს ისიც, რომ ამ სამთო კურორტის ათვისებაში დისპროპორცია შეიმჩნევა — ფართო ფრონტით მიმდინარეობს საცხოვრებელთა მშენებლობა. სამაგიეროდ, მივიწყებულია ფუნიკულორებისა და ამწეთა მოწყობა. მათ გარეშე კი ვერაფრით გაახარებთ სტუმრებს. ისინი ხომ თხილამურებით სასრიალოდ მოდიან. ფეხით მთაზე ასვლა კი მეტად დიდ დროს მოითხოვს და ძალ-ღონის უაზრო ფლანგვას იწვევს.

კოხტას ერთადერთი საბაგირო გზის ქვედა სადგურთან ახლა ყოველდღიურად მოყვარულთა ნამდვილი ბრძოლა იმართება, რათა ერთხელ მაინც მოახერხონ ბიუგელის „ხელში ჩაგდება“ და ზევით ასვლა. წესრიგის დასაცავად ზოგჯერ მილიციის ჩარევაც ხდება საჭირო. ადვილი წარმოსადგენია, რა ხალხმრავალი იქნებოდა ფუნიკულორები თუ კიდული გზები, რომ ისინი ერთი და ორი კი არა, არამედ ათობით იყოს. ახალი საბაგირო გზების, კოხტა მეორის წვერზე სასტუმროს, ახალი სამკილომეტრიანი ტრასის (კოხტა II — მიტარბი) მოწყობის გაჭიანურება ჩრდილს ფენს ბაკურიანს (აღარაფერს ვამბობ ტრამპლინებსა და სარბენ ტრასებზე).

იქნებ ეს წერილი არ დამეწერა, ხარვეზების დაძლევაში დარწმუნებული რომ არ ვიყო. მით უმეტეს, რომ ფუნიკულორების მოსაწყობად უკვე გამოყოფილია სათანადო სახსრები და სწორედ ბაკურიანშია დაგეგმილი სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაც. ეს კი ბევრს ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

* * *

კოხტა-გორავ, შენს საქებად სიტყვები არ მყოფნის! დამსახურებულად ატარებ ამ სახელს და დღესაც შენი ერთგულნი ვრჩებით ძველი თაყვანისმცემლები. მაგრამ გვსურს სამთო-სათხილამურო სპორტი, რომლის პატარძალიც შენ ხარ, სულ უფრო იზრდებოდეს და ვითარდებოდეს. კვლავაც გვენახოს შენს კალთებზე აღზრდილი ოსტატები და ჩემპიონები!

დ. როსტოვცევი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
ბაკურიანი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **საცხენოსნო სპორტში** — ი. ჭელიძეს (სოხუმი); **აკრობატიკაში** — თ. ბოლქვაძეს (ბათუმი); **ხელბურთში** — ჯ. აბშილავას (თბილისი); **ფრენბურთში** — ვ. გელაძეს (თბილისი).

„ფსირცხაში“

ახალი ათონის დასასვენებელ სახლ „ფსირცხაში“ ამჟამად 400-ზე მეტი დამსვენებელია ჩამოსული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის კარგი მოედნები ხელს უწყობს დამსვენებელთა კულტურულად და შინაარსიანად დასვენებას.

კულტმუშაკების მოწადინებით აქ შექმნილია სხვადასხვა ფიზკულტურული წრე და გუნდი. ფსირცხელები ხშირად მონაწილეობენ ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშსა და სხვა სახეობებში გამართულ შიდასაკურორტო ამხანაგურ შეხვედრებში.

„ფსირცხაში“ ყველა პირობაა შექმნილი დამსვენებელთა სხეულის გაკაჟებისა და შინაარსიანი დასვენებისათვის.

ბ. ალშიბაია
(ჩვენი სპეც. კორ.).
ახალი ათონი,
გუდაუთის რაიონი.

ჭადრაკის ქრონიკა

✦ რუსთავი

17 რუსთაველი მოჭადრაკე თითქმის თვეზე მეტს შეუპოვრად იბრძოდა მეტალურგთა ქალაქის ჩემპიონის სახელისთვის. მხოლოდ ფინიშზე გამოვლინდა ჩემპიონი — მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ოსტატი გ. ძინძიბაძე, რომელმაც 12 ქულა მოაგროვა.

რ. გაბრიჩიძე

●

✦ წულუკიძე

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის 12 უძლიერესი მოჭადრაკე ერთმანეთს შეხვდა ტურნირში ჩემპიონის ვინაობის გამოსარკვევად. დაძაბული ბრძოლა მესამეკურსელი ვ. პირქუშაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. II ადგილი დაიკავა მეხუთეკურსელმა ა. ცერცვაძემ, III ადგილი — პირველკურსელმა ლ. დურგლიშვილმა.

ჯ. გელაშვილი

●

✦ ყაზბეგი

რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობა მიიღეს საშუალო და 8-წლიანი სკოლების ნაკრებმა კოლექტივებმა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სოფ. სიონის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ტ. ქავთარაშვილი

ზამთრის სეზონი გახსნეს

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკში ჩატარდა ტურისტული შეკრება, რომელიც მიეძღვნა ზამთრის სეზონის გახსნას. ასპარეზობაში მონაწილეობდა 7 გუნდი. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ველოსპორტი, აგრეთვე კარვის გაშლა, კოცონის დანთება და წყლის ადუღება.

შეჯიბრებაში პირველად ჩაებნენ ნიჩბოსნები. მათში ყველას აჯობეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სპორტსმენებმა. ნიჩბოსნებმა ამანათი „გადასცეს“ მორბენლებს. აქ გამარჯვეს გემსაშენი ქარხნის წარმომადგენლებმა — დგებუაძემ და დოვლათოვმა.

შემდეგ ასპარეზობაში ჩაებნენ ველოსიპედისტები. ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ე. სუსლოვი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა. II ადგილზე არიან გემშენებელი ქარხნის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — სავაჭრო ტექნიკუმის წარმომადგენლები.

თ. მურვანიძე
(ჩვენი კორ.).
ბათუმი.

მეხუთეკლასელი — მესამეთანრიგოსანი

შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრებული ზესტაფონის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში (ფიზაღზრდის მასწავლებლები ფ. მოდებაძე და თ. ბერეკაშვილი). აქ თითქმის ყოველწლიურად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობას მშობლიური მხარის შესასწავლად და სათანრიგო ნორმატივების შესასრულებლად.

სკოლის ნორჩმა ტურისტებმა ამას წინათაც მოაწყეს ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — საჩხერე — ონი — შოვი — უწერა — ამბროლაური — ხვანჭკარა — ქუთაისი — ზესტაფონი.

ნორჩმა ტურისტებმა ინტერესით დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები და მეტად კმაყოფილნი დარჩნენ.

35 ახალგაზრდა მოლაშქრიდან ტურისტის III თანრიგის ნორმა შეასრულა მეხუთეკლასელმა თ. მოდებაძემაც.

ლაშქრობაში იყო ისტორიის მასწავლებელი გ. ჯაოშვილი, რომელიც ნორჩებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ახსნა-განმარტებას აძლევდა.

ა. განუგრავა
ზესტაფონი.

ნახშირღელელთა სპარტაკიადა

ნახშირღელის საშუალო სკოლაში განუზომელი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, შაშში, სროლასა და ველოსპორტში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 300-ზე მეტი მოსწავლე.

ფეხბურთში უძლიერესები აღმოჩნდნენ მეთერთმეტეკლასელები, ფრენბურთში — როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის — მეათეკლასელები, რომლებმაც გაიმარჯვეს აგრეთვე ჭადრაკსა და შაშში. მძლეოსნობაში პირველი იყვნენ მერვეკლასელები. სროლაში ყველას აჯობეს მეთერთმეტეკლასელებმა, ხოლო ველოსპორტში (გუნდურ ჩათვლაში) ჩემპიონობა მეათეკლასელებმა დაისაკუთრეს.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში სკოლის ჩემპიონები გახდნენ ჯ. ხუჯაძე, თ. და ზ. ბრეგაძეები, დ., თ. და ნ. ნიკოლაძეები, ი. სუთიძე, ჯ. მესხი, ა. გუცაძე და სხვ.

სკოლაში ბევრია ტურიზმის მოყვარული. არდადეგების დღეებში სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის ლ. რობაქიძის თაოსნობით მოსწავლეებმა ტურისტული ლაშქრობა მოაწყეს. ტურისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 7 რაზმის 120-მა პიონერმა, რომლებმაც 22-კილომეტრიანი დისტანცია დაფარეს.

თავიანთი სპარტაკიადა სპორტის სამ სახეობაში — ჭადრაკში, შაშსა და სროლაში — გამართეს აგრეთვე სკოლის მასწავლებლებმაც.

მოჭადრაკეთა და მოშაშეთა ასპარეზობაში გაიმარჯვა რ. ნიკოლაძემ, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში — შ. სოხიაშვილმა.

ლ. ჯიჯიაშვილი
თერჯოლის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხადოთ რიწის ტბა ჩემპიონთა და რეკორდსმენთა სამჭედლოდ!

რიწის ტბა მაღალმთიანი წყლების იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ყოველმხრივ ხელმისაწვდომია. იგი დიდი ხანია ათასობით ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. საქვეყნოდ ცნობილია აქაური სამკურნალო წყაროებიც. ჰავა ზომიერია. საშუალო წლიური ტემპერატურა პლუს 8 გრადუსს შეადგენს, ხოლო ნალექების რაოდენობა 1600-1700 მმ-ია. ნალექები ძირითადად შემოდგომასა და ზამთარში მოდის.

ტბის სიგრძე 2500 მეტრს აღწევს, სიგანე — 250-დან 870 მეტრამდეა, სიღრმე არსადაა 2 მეტრზე ნაკლები. ტბა ყოველი მხრიდან შემოფარგლულია მთებით, რაც წყლის ზედაპირს ქარისგან იცავს. ყველა ამ ფაქტორს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიჩბოსნობაში წვრთნისა და შეჯიბრებებისთვის. ეს ყველა სპორტსმენს თანაბარ, მყარ პირობებს უქმნის.

რიწამ სპორტის მესვეურთა ყურადღება დიდი ხანია მიიქცია და აი, გასულ ზაფხულს მას სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯგუფი ეწვია: აფხაზეთის სპორტკავშირმა, „დინამოს“ საბჭომ და განათლების სამინისტროს სპორტულმა სკოლამ აქ მოაწყეს აფხაზეთის ნიჩბოსანთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, რის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები 500, 1.000 და 10.000 მეტრზე. ცდებმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. შეკრებაზე მყოფნი და ნიჩბოსნობის სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ აქ 4 თვის განმავლობაში — 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე — შეიძლება წარმატებით გაიმართოს რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის ღონისძიებები. შესანიშნავი შედეგი მოგვცა ტბის რაიონში ჩატარებულმა სპორტსმენთა აკლიმატიზაციამაც.

აფხაზეთის სპორტის მესვეურთა არჩევანი რიწაზე იმიტომ შეჩერდა, რომ ძველი ბაზები მდინარე ბესლეთკაზე და სოხუმის ყურეში ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს — არ იყო ტრასების შესაბამისი სიგრძე, ვარჯიშებსა და შეჯიბრებებს ხშირად აფერხებდა ქარი.

რიწაზე პირველ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას მაღალი შეფასება მისცეს საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. ემუხვარმა, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. სოლოვიოვმა, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ნაუმოვმა. მათ ერთხმად აღიარეს, რომ რიწაზე სანიჩბოსნო სპორტული ბაზის მოწყობა ამ სახეობის შემდგომი განვითარების შესანიშნავ პირობებს შექმნის, მით უმეტეს, რომ ბევრი ხელშემწყობი წინაპირობა აქ უკვე არსებობს — ნაპირიდან 10-15 მეტრითაა დაშორებული პანსიონატი „რიწა“, რომლის განკარგულებაშია ელინგი 200 ნავისთვის, კეთილმოწყობილი ნავმისადგომები. პანსიონატის ტერიტორიაზეა აგრეთვე მოედნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთო ფიზმომზადებაში ვარჯიშისთვის.

ზოგიერთის აზრით, ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენს გზა სოხუმიდან ტბამდე, მაგრამ ეს ეჭვიც გაქარწყლდა, როცა მანქანებმა შესანიშნავად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაზიდეს ნავები.

ახლა, როცა რიწის ყველა „კბილი“ მოსინჯულია და შედეგი ბევრის აღმთქმელია, რჩება მხოლოდ ერთი რამ — მონდომება და ნიჩბოსნობის ბაზის მოწყობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა, რაც მას საკავშირო (და შეიძლება საერთაშორისო) მნიშვნელობის სპორტულ ბაზად გადააქცევს. აქ აღიზრდებიან მაღალკვალიფიციური სპორტსმენები, ჩემპიონები, რეკორდსმენები... რიწაზე ყურადღების გამახვილება ნაკარნახევია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ინტერესებით, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მოსამზადებელი პირველხარისხოვანი ბაზის მოძებნა რესპუბლიკაში დღემდე არსად მოხერხდა.

ხ. ტაკმაზიანი,
„დინამოს“ აფხაზეთის საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი.

* * *



სურათზე: პირველი ნიჩბოსნები რიწაზე.

ფოტო ავტორისა.

თვითმფრინავიდან... უპარაშუტოდ!

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. ის, რაც ამერიკელმა პარაშუტისტებმა როდ პეკმა და ბობ ალენმა (ჰოლივუდი, კალიფორნიის შტატი) მოახდინეს, საჰაერო სპორტის ფარგლებს შორს ცილდება. 14 ათას ფუტ (4 კმ და 267 მ) სიმაღლეზე პეკი თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმოხტა. მას გადმოჰყვა ამხანაგი, რომელსაც ხელთ ჰქონდა პეკის პარაშუტი. ჰაერში მანევრირების შემდეგ ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ალენმა პეკს პარაშუტი გადასცა და, როცა პეკმა მოირგო იგი. დათქმული სიგნალით ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ამის შემდეგ კი გაშალეს პარაშუტები და მშვიდობით დაეშვნენ მიწაზე. პარაშუტის გადაცემისა და მორგების მთელი ოპერაცია განხორციელდა ვარდნის ერთ კილომეტრზე ცოტა მეტ მანძილზე.

პეკმა განუცხადა კორესპონდენტებს: „ამხანაგთან ერთად გულდასმით ვემზადებოდი ამ ნახტომისთვის და წინასწარ გავმართეთ რამდენიმე რეპეტიცია — პარაშუტებით გადმოვხტით“.

ასეთი ხტომის დროს, — თქვა პეკმა, — მთავარი სიძნელეა დაანგარიშების სიზუსტე: ვარდნის დროს მეორე მხტომელმა არ უნდა გაასწროს პირველს ორი პარაშუტის სიმძიმის გამო.

წონის სხვაობის აღმოსაფხვრელად პეკი გადმოხტა დამატებითი ტვირთით.

ახალი ამბები

● ბევერვიკი, 7 იანვარი. აქ დაიწყო მოჭადრაკეთა ტრადიციული ფესტივალი. მთავარ ტურნირში მონაწილეობს ორი საბჭოთა სპორტსმენი — დიდოსტატი ე. გელერი (ოდესა) და ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო). I ტურში ოდესელმა დიდოსტატმა ყაიმით დაამთავრა პარტია ჰოლანდიელ ვან სხელტინგასთან, ხოლო ბაქოელმა — ასევე ყაიმით — იუგოსლაველ დიდოსტატ ა. მატანოვიჩთან. მეორე ტურნირში თამაშობს შჩადრინსკელი მოსწავლე, 15 წლის იური ბალაშოვი. წარმატების შემთხვევაში, ნორჩი ოსტატი გაისისთვის მთავარ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

● **ცნობილი ინგლისელი მრბოლელი დ. კემპბელი ბევრჯერ ეცადა რეაქტიულძრავიანი ნავით თავისივე მსოფლიო რეკორდის (418 კმ საათში) მოხსნას, მაგრამ მისი ყოველი ცდა ამაო იყო. და აი, ამ დღეებში კემპბელმა მიზანს მიაღწია.** დასავლეთ ავსტრალიაში მდებარე ტბა დამბლიანგის ერთკილომეტრიან მონაკვეთზე კემპბელმა თავისი „ცისფერი ფრინველით“ ორი მიმართულებით საათში 444 კმ საშუალო სისწრაფით გაიქროლა.

● ბერლინი. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კონგრესმა გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილეთა სია შეირჩეს ტერიტორიული პრინციპით. მომავალში, ყოველი მსოფლიო პირველობის წინ, მოეწყობა ხუთი მატერიკის (ევროპის, აზიის, ამერიკის, ავსტრალიისა და აფრიკის) ჩემპიონატები, რომლებიც ამავე დროს შერჩევითი შეჯიბრებები იქნება.

ძნელი გამოცდა

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის შედეგები

„დამნაშავეა მხოლოდ ნერვები“, — ერთხმად გადაწყვიტეს მიამოსილველებმა იმის შემდეგ, როცა პრეტენდენტთა სოხუმის ტურნირის ფინიშზე ბელგრადელმა ჟურნალისტმა მილუნკა ლაზარევიჩმა შესაძლებლობა მოგვცა ტატიანა ზატულოვსკაიასა და ამ სტრიქონების ავტორს დავწეოდით მას. მთელი ტურნირის მანძილზე იგი წინ იყო, მაგრამ ბოლო სამ პარტიაში მილუნკამ მხოლოდ 1/2 ქულა მოაგროვა.

„გაიმარჯვებს ის, ვისაც უფრო მშვიდი აღმოჩნდება“, — დარწმუნებით იწინასწარმეტყველა საერთაშორისო ოსტატმა ა. კონსტანტინოპოლსკიმ დამატებითი მატჩ-ტურნირის გახსნაზე, რომელმაც 20 დეკემბერს აიღო სტარტი მოსკოვში და რომელსაც საბოლოოდ უნდა დაესახელებინა ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე.

მაგრამ მხცოვანი საჭადრაკო ოსტატისა და თეორეტიკოსის წინასწარმეტყველება არ შეიძლება სინამდვილედ ქცეულიყო: სამივე პრეტენდენტი ერთნაირად ღელავდა, რაც პარტიების ხარისხსაც დაეტყო. ამასთან დაკავშირებით, იუგოსლავიის ჩემპიონმა ასეთი პარადოქსი გამოთქვა: „ქალთა ტურნირებში მით უფრო მეტი შეცოდება კეთდება, რაც უფრო მეტია თავისი მნიშვნელობით ეს ტურნირები“. ჩვენი სტუმრისათვის ადვილი იყო ხუმრობა, რადგან იმ მომენტში, როცა მან ეს სიტყვები წარმოთქვა, მატჩ-ტურნირს 2-დან 2 ქულით ლიდერობდა. მილუნკას უაღრესად მარტივი ამოცანა ჰქონდა — ორ დარჩენილ პარტიაში ერთი ყაიმიც ყოფნიდა. მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც ერთმა ჟურნალისტმა „სოხუმის დრამის მეორე აქტი“ უწოდა: ლაზარევიჩმა ორივე პარტია წააგო და კვლავ გაუშვა ხელიდან გამარჯვება.

ყველაზე იოლია იმის თქმა, რომ აქაც „დამნაშავეა მხოლოდ ნერვები“. მაგრამ, ჩემი აზრით, იუგოსლაველი მოჭადრაკის წარუმატებლობის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. ლაზარევიჩი თამაშის მემტევი სტილის მომხრეა, მოხერხებულად ახორციელებს კონტრდარტყმებს, შორს ანგარიშობს ვარიანტებს. მაგრამ მის თამაშს აქვს დიდი ხარვეზი — იუგოსლაველი უგულვებელყოფს პოზიციის საერთო, ზოგად შეფასებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი სერიოზული შეცდომები, შეცდომები ენდშპილშიც, შევიწროებულ პოზიციებში თამაშის უცოდინარობა.

საინტერესო დეტალი: პარტიის დამთავრების შემდეგ მილუნკას არ უყვარს მეტოქესთან ერთად მისი გარჩევა, რათა ჩასწვდეს ამა თუ იმ მდგომარეობის არსს. ლაზარევიჩისთვის ჭადრაკში მთავარია ემოციური მხარე, განცდები თამაშის დროს. იუგოსლავიის ჩემპიონს არ უყვარს ხანგრძლივი მანევრული ბრძოლა, არ იცის, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, „პოზიციის დადგმა“. გადამწყვეტ პარტიებში, მაშინ, როცა სატურნირო მდგომარეობა ლაზარევიჩს ყაიმზე თამაშს აიძულებს, იგი იბნევა და აგებს. წაგების შემდეგ კი მის თამაშს უბრალოდ ვერ იცნობთ.

მატჩის ბოლო ტურში მილუნკა ლაზარევიჩმა წააგო ტატიანა ზატულოვსკაიასთან, მაგრამ მისი ბედნიერი მეტოქე სევდიანად გამოიყურებოდა. ცხადია, ზატულოვსკაია ნანობდა, რომ სპორტულ ფორმაში მხოლოდ შეჯიბრების ბოლოს შევიდა. საერთოდ, ბაქოელი მოჭადრაკე სუსტად იწყებს ტურნირს, მაგრამ ჩვეულებრივ რამდენიმე წაგების შემდეგ ცხრილში მისი გვარის გასწვრივ უამრავი ერთიანი გამოჩნდება ხოლმე. ასე ხდება გრძელი დისტანციის ტურნირებში, ოთხპარტიიან მატჩში კი ძნელია შეამჩნიო, სად მთავრდება სტარტი და სად იწყება ფინიში.

ჩემი რწმენით, პრეტენდენტთა ასპარეზობაში ზატულოვსკაია ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა. „უბედური შემთხვევები“ სოხუმის ტურნირის პარტიებში ზვორიკინასთან, ლაზარევიჩთან, კონარკოვსკასთან, დაუმსახურებელი დამარცხება მოსკოვის მატჩის პირველ პარტიაში — ეს არ არის შემთხვევითი დამთხვევა. ყოველივე ამის მიზეზია ზატულოვსკაიას ზედმეტი ნერვულობა, რაც გულდასაწყვეტად აისახება ხოლმე ამ მეტად ძლიერი და საინტერესო მოჭადრაკის შემოქმედებით და სპორტულ შედეგებში.

თვითონ მე მატჩის დაწყებამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ზატულოვსკაია გაიმარჯვებდა. მაგრამ ადგილების საბოლოო განაწილებაში, ალბათ, ზემომოყვანილი ფაქტორები ჩაერია. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ გადამწყვეტ პარტიებს — პირველს ზატულოვსკაიასთან და ბოლოს — ლაზარევიჩთან — თეთრებით ვთამაშობდი. და კიდევ ერთი უპირატესობა მქონდა კოლეგებთან: მატჩი თამაშდებოდა „ჩემს მოედანზე“ — მოსკოვში და ყოველი პარტიის შემდეგ შინ ჩემი 5 თვის პავლუშა მელოდა, რომელიც უმალვე მავიწყებდა მღელვარე დღის ამბებს. ჩემს მეტოქეთა ვაჟიშვილები კი შორს იყვნენ.

მსოფლიო პირველობაზე მატჩის გამართვა ნაგულისხმევია მიმდინარე წლის შემოდგომას. მომზადებისთვის დრო დიდი არ არის. მე და ჩემს მწვრთნელს ბორის პერსიცს მრავალი პრობლემის გადაწყვეტა მოგვიწევს. ნონა გაფრინდაშვილთან 16 პარტიის თამაში ყველა მოჭადრაკე ქალისთვის ძნელი გამოცდაა. მაგრამ მანამდე სხვა გამოცდები მელის — მოსკოვის პოლიგრაფიის ინსტიტუტის სარედაქტორო ფაკულტეტის III კურსზე.

ა. კუშნირი,
მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, საერთაშორისო ოსტატი.

8 ტურის შემდეგ...

კიევი, 7 იანვარი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა XXXII ჩემპიონატზე დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ტალმა მოუგო სუეტინს, შამკოვიჩმა — ლეინს, ხოლო დანარჩენი პარტიები (ბორისენკო — კორჩნოი, ბაკულინი — ავერბახი, კროგიუსი — ვასიუკოვი, ბანიკი — ოსნოსი, ხოლმოვი — ბაკულინი; ბანიკი — გოლდენოვი) ყაიმით დამთავრდა. 8 ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინაა ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) — 7 ქულა. 5½ ქულით II ადგილზე გადაინაცვლა მოსკოველმა ლ. შამკოვიჩმა.

როგორც ვიუწყებოდით, პოლონეთის პრესის სააგენტოს საახალწლო ანკეტაში გაიმარჯვა სახელგანთქმულმა საბჭოთა მოციგურემ ლ. სკობლიკოვამ. „თეთრი ოლიმპიადის“ ოთხგზის ჩემპიონი აღიარებულია ევროპის საუკეთესო სპორტსმენად.

კონტინენტის უძლიერეს სპორტსმენთა სიაში აგრეთვე მოხვდნენ: მძლეოსნები ი. შმიდტი (პოლონეთი) და მ. ბიგნელ-რენდი (ინგლისი), ძალოსანი ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი), ველოსიპედისტი ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი), ნიჩბოსანი ვ. ივანოვი (სსრ კავშირი), მძლეოსანი ვ. ჰოლდორფი (გდრ), ტანმოვარჯიშე ვ. ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია), მძლეოსნები — გ. როელანტსი (ბელგია) და თ. პრესი (სსრ კავშირი). როგორც ვხედავთ, ათეულში 9 სპორტსმენი ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონია და მხოლოდ ერთი — ჟ. ანკეტილი — პროფესიონალი.

ჟ. ანკეტილის სახელი ფართოდაა ცნობილი პროფესიული ველოსპორტის სამყაროში. იგი პოპულარული ფრანგული „ტურ დე ფრანსის“ მრავალგზის ჩემპიონია და, მაშასადამე, მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედისტი გახლავთ. ამ ცოტა ხნის წინ ჟ. ანკეტილმა პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა. როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, იგი სულ მალე პროფესიულ ავტომობილისტთა შეჯიბრებებში გამოვა.

სურათზე: ჟ. ანკეტილი.

ბრაზილიური ფეხბურთის ახალი „ვარსკვლავები"

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის VIII გათამაშების შესარჩევი მატჩების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ბრაზილიის პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება მიმოხილვითი ხასიათის წერილები. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სამშობლოში ფეხბურთის ფედერაცია, მწვრთნელები და ცალკეული კლუბების ხელმძღვანელები გულმოდგინედ ეძებენ ახალგაზრდა მოთამაშეებს, ვინაიდან ცხადია, რომ 1966 წლის ფინალური მატჩებისთვის ინგლისში ჩემპიონს აღარ შეეძლება წარდგეს ძველი გვარდიით. აქ არც მალავენ, რომ ნაკრებს ჭირდება ახალი ცვლა, კერძოდ, ბრაზილიელებს აინტერესებთ მოთამაშეები, რომლებიც ღირსეულად შეცვლიან ნახევარდაცვის განთქმულ წყვილს — დიდისა და ზიტოს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ფეხბურთში ნახევარდაცვას. 4 ფორვარდსა და 4 მცველს შორის მოქმედ ორ ფეხბურთელს უდიდესი როლი აკისრება, პირველ ყოვლისა, ბრაზილიის ნაკრებში. აქ სწორედ ნახევარმცველები აძლევენ ტონს თამაშს. მათ უნდა შეეძლოთ არა მარტო სრული კონტროლის დაწესება მინდვრის შუაგულში, არამედ შეტევაში მონაწილეობაც და კარის დაცვაც. ესაა თავისებური ღერძი, რომელზეც ბრუნავს მთელი გუნდი.

ბრაზილიელთა ბრწყინვალე ნახევარმცველები დიდი და ზიტო, როგორც ცნობილია, გამოეთხოვნენ ნაკრებს და ორგზის მსოფლიო ჩემპიონის ხელმძღვანელობა დგას პრობლემის წინაშე: ვინ უნდა შეცვალოს ვეტერანები?

თუ დავუჯერებთ ინგლისური პრესის მიმომხილველებს, ასეთი ფეხბურთელები ბრაზილიაში არიან. პრესის ფურცლებზე ხშირად გაისმის ხმა, რომ „საფეხბურთო მინდვრის შუაგულის მფლობელები მოიძებნებიან".

სპეციალისტები, პირველ ყოვლისა, ასახელებენ გერსონს. 22 წლის ფეხბურთელის სახელი ფართოდაა ცნობილი, იგი ახლა მიაჩნიათ დიდის ყველაზე უფრო საიმედო და ძლიერ შემცვლელად. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ გერსონმა შეცვალა დიდი მის კლუბ „ბოტაფოგოში". ახალგაზრდა ფეხბურთელის გადაყვანა „ფლამენგოდან" „ბოტაფოგოში" ამ უკანასკნელს დაუჯდა არც მეტი არც ნაკლები 200 ათასი დოლარი.

როგორც ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელი, გერსონი ბურთს ბავშვობიდან თამაშობს. სიჭაბუკეში იგი „ფლამენგოს" იუნიორთა კაპიტანი იყო, ხოლო 18 წლისა რომის ოლიმპიურ თამაშებში ხელმძღვანელობდა თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს. უკვე მაშინ მიიქცია მან სპეციალისტთა ყურადღება თავისი დამაჯერებელი თამაშით მინდვრის შუაგულში. გერსონს საოცრად მახვილი საფეხბურთო აზროვნება აქვს, მისი ტექნიკა შეუდარებელია, კარში ურტყამს მოულოდნელად, ზუსტად და ძალიან ძლიერად. ისევე როგორც დიდი, გერსონიც ვირტუოზულად ასრულებს „ხმელი ფოთლის" დარტყმას, ხოლო პენალტი მას ჯერ არ გაუფუჭებია.

„ბოტაფოგოში" თამაშობს ნაკრების დისპეტჩერის კიდევ ერთი რეალური კანდიდატი. ლაპარაკია 20 წლის ზანგ ფეხბურთელ არლინდოზე. ეს ტანმორჩილი ფეხბურთელი, რომლის სიმაღლე სულ 164 სანტიმეტრია, სწრაფი, საოცრად გამძლე და დაუღლელია. იგი „ბოტაფოგოს" იუნიორებში თამაშობდა და მისი გუნდი მუდამ იმარჯვებდა სპეციალურ ტურნირებში. თავისი კლუბის პირველ შემადგენლობაში არლინდო მხოლოდ შარშანწინდელი სეზონიდან თამაშობს. მაყურებლები აღფრთოვანებული იყვნენ მისი უნაკლო ტექნიკით და უდიდესი ბრძოლისუნარიანობით. არავის შეუძლია მეტოქის გადაცემათა დაჭერა ისე, როგორც არლინდოს, მაგრამ თავის ამ შესანიშნავ თვისებებს ახალგაზრდა ფეხბურთელი ბოროტად არ იყენებს: იგი მუდამ მზადაა კონტაქტი ჰქონდეს პარტნიორებთან.

დიდ იმედებს ამყარებენ „ფლუმინენსეს" ახალგაზრდა მოთამაშე ჟოაკიზინიოზე. პრესის ცნობით, მას საუცხოო კომბინაციური ალღო და დიდი ამტანობა ახასიათებს. ამ თვისებების წყალობით ჟოაკიზინიო პირველხარისხოვან დირიჟორს წარმოადგენს თავის კლუბში. გუნდის მწვრთნელს, ცნობილ პარაგვაელ სპეციალისტ სოლიჩს უნდოდა ეს მოთამაშე ცენტრფორვარდის პოსტზე გადაეყვანა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ჟოაკიზინიოს მოწოდება — ესაა ნახევარდაცვა და აქ ახალგაზრდა ფეხბურთელმა სრულად გამოავლინა თავისი მდიდარი ნიჭი. მართალია, იგი არ მიეკუთვნება ვირტუოზ-ტექნიკოსთა რიცხვს, მაგრამ მას აქვს გაანგარიშების დიდი უნარი, ჩინებული ფიზიკური მონაცემები, სითამამე და აგრესიულობა.

სან-პაულოს შტატში არის ფეხბურთელი ზეკინიო, რომელიც ბრაზილიის ნაკრების შარშანწინდელი მგზავრობისას ევროპის ქვეყნებში ნახევარმცველად თამაშობდა. აქამდე მას უწოდებდნენ ზიტოს „ჩრდილსა" და მუდმივ დუბლიორს, მაგრამ ბოლო ხანებში ზეკინიომ მნიშვნელოვნად უმატა თამაშს. იგი ძალიან სწრაფია და ისე მოულოდნელად ერთვის თავის თავდამსხმელთა იერიშს, რომ ყოველთვის ხიფათის ქვეშ აყენებს მეტოქის დაცვას. თავის პარტნიორ ადემირ დე გუიასთან ერთად იგი ქმნის „პალმეირასის" ყველაზე ძლიერ რგოლს.

მიმომხილველები ახსენებენ „ბოტაფოგოს" ნახევარმცველ კარლინიოსაც, რომელსაც მათემატიკური სიზუსტის გადაცემები აქვს. მის მიერ წამოწყებული კომბინაციები მუდამ გამოირჩევა მოულოდნელობით, სიმწვავითა და სიზუსტით.

ბრაზილიის ნაკრების გასტროლების დროს ევროპაში მარჯვენა მცველის პოსტზე თამაშობდა 20 წლის ფეხბურთელი ლიმა, მაგრამ ლიმა თავის „სანტოსში" ნახევარმცველად თამაშობს. ამ ფეხბურთელს შეუცდომელი ინტუიცია აქვს და საკმარისია გადაინაცვლოს შეტევის ხაზზე, რომ მოპირდაპირე კართან წამსვე სახიფათო მომენტი იქმნება.

სულ ერთი სეზონი დაჭირდა „ფლუმინენსეს" ნახევარმცველ ოლდაირს, რომ დებიუტანტიდან თავისი ქვეყნის ნაკრების კანდიდატი გამხდარიყო. ოლდაირის შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე განცვიფრებას იწვევს თვით ბრაზილიელთა შორისაც. თავის კლუბში იგი ყველა საჯარიმო დარტყმას ასრულებს და უნაკლოდაც. მას კომბინაციური თამაშის დიდი ნიჭი აქვს.

დაბოლოს, არის კიდევ ერთი კანდიდატი ნახევარდაცვის ხაზში. ესაა ათლეტური აღნაგობის, საუკეთესო ტექნიკის მქონე მენგალვიო, რომლის სახელი კარგადაა ცნობილი საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. ესაა მეტოქის კომბინაციათა ჩაშლის შეუდარებელი ოსტატი. თავის საჯარიმო მოედანზე შექმნილ უმძიმეს მომენტებში მენგალვიო სწრაფად იხევს უკან და ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მცველებს.

ერთი სიტყვით, ბრაზილიელებს არ აშინებთ თავიანთი განთქმული ნახევარმცველების შეცვლის საკითხი. გაამართლებენ თუ არა ახალი „ვარსკვლავები" ამ იმედებს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ვ. ვსევოლოდსკი

* * *

სურათზე: 1962 წლის მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩის (ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია) ერთ-ერთი მომენტი. ბრძოლა შუამინდორში ჯ. სანტოსს, მასოპუსტს, ელინეკსა და დიდის შორის. დიდიმ (მარჯვნიდან მეორე) წამით დაასწრო მეტოქეებს...

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დღეებში პრესაში გამოჩნდა ყველასათვის მოულოდნელი ცნობა. იგი იტყობინებოდა: „ქალთა შორის 100 მ ზურგზე ცურვის ფინალში მეტად წარუმატებელი სტარტი აიღო მსოფლიო რეკორდსმენმა, ფრანგმა კრისტინ კარონმა. იგი მთელს დისტანციაზე ამაოდ ცდილობდა ამერიკელი კ. ფერგიუსონის დაწევას. ამერიკელი პირველი მივიდა ფინიშთან (1.07,7) და დაამყარა ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები. ფრანგი მას 0,2 წამით ჩამორჩა. კარონის დამარცხება ნამდვილად დასანანი იყო".

ჟურნალისტთა ეს სინანული საფუძველს როდია მოკლებული. ამ იდეალურად ტანსხმულ, ულამაზეს ქალს, საფრანგეთის „ცურვის ვარსკვლავს" ტოკიომდე არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია და მუდამ შესანიშნავ შედეგებს აღწევდა. მაგრამ ამჯერად ფინალის წინა დღეებში ავად გახდა, რამაც, ცხადია, კორექტივი შეიტანა ოქროსა და ვერცხლის მედლების განაწილებაში.

ცისფერ ბილიკზე კარონი დამარცხდა, მაგრამ იგი მაინც პირველი იყო: ოლიმპიელ ქალთა შორის ტოკიოში მას სილამაზეში ბადალი არ ჰყავდა.

სურათზე: კ. კარონი იღებს სტარტს.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეციდან" (პოლონეთი).

ულიმღამო პერსპექტივები

1964 წელი ფრანგული ფეხბურთის არნახული დაქვეითებით აღინიშნა. I ლიგის მატჩებს საშუალოდ ესწრებოდა სულ 4-5 ათასი მაყურებელი. ნოემბერში, როდესაც ფრანგების I და II ნაკრებმა გუნდებმა მარცხი განიცადეს ბელგიასთან, საფრანგეთის პრესაში გაისმა ხმები ეროვნული ფეხბურთის „ვატერლოოს" შესახებ.

ნაკრების მწვრთნელმა ა. გერენმა თავისი გუნდის გადახალისების მიზნით დეკემბრის ბოლო რიცხვებში 3 შეხვედრის ჩატარება მოითხოვა, სადაც უნდა გამოვლენილიყო მომავალი ნაკრების კანდიდატები. პარიზში I ნაკრებმა ძლივს მოუგო ახალგაზრდულ ნაკრებს — 2:1. II ნაკრებმა ფრედ ითამაშა საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელ ფეხბურთელთა გუნდთან — 2:2.

ნიცაში მეორე ლიგის ნაკრებმა დაამარცხა სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციების ნაკრები — 2:0. ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი პიანტონი (№ 10) — 1958 წლის მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი.

მარტში ფრანგებს ამხანაგური შეხვედრა აქვთ ავსტრიელებთან, ხოლო 18 აპრილს ბელგრადში — იუგოსლავიის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი.

(საქ. ინფ.).

„ფრანს ფუტბოლის" კლასიფიკაცია

ფრანგულმა საფეხბურთო ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა" 1964 წლის შედეგების მიხედვით ევროპის ქვეყნების ეროვნული გუნდები სიძლიერის მიხედვით ასე დაანაწილა: 1. ესპანეთი, 2. უნგრეთი, 3. სსრ კავშირი, 4. ჩეხოსლოვაკია, 5. იტალია, 6. პორტუგალია, 7. ავსტრია, 8. შოტლანდია, 9. შვეცია, 10. ინგლისი, 11. ბელგია, 12. პოლონეთი, 13. იუგოსლავია, 14. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 15. რუმინეთი, 16. ჩრდილოეთ ირლანდია, 17. ჰოლანდია, 18. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 19. დანია, 20. ეირე, 21. საფრანგეთი, 22. ნორვეგია, 23. შვეიცარია, 24. ფინეთი, 25. უელსი, 26. ლუქსემბურგი.

თურქეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ისლანდია და მალტა, ჟურნალის განმარტებით, ამ ცხრილში არ შევიდნენ საკმარისი მაჩვენებლების უქონლობის გამო.

საინტერესოა, რომ I ადგილზე მყოფ ესპანეთის გუნდს 1963 წელს ამავე „ფრანს ფუტბოლმა" მხოლოდ XV ადგილი მიაკუთვნა.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

15 იანვარს

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 49) მუშაობას დაიწყებს **ფეხბურთის მსაჯთა საქალაქო მოსამზადებელ-გადასამზადებელი სემინარი.**

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე ქართულ და რუსულ ენებზე, წარმოებას მოუწყვეტლივ.

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები—3-81.

▲ ვენა. ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე ასპარეზობით დამთავრდა „ოთხი ტრამპლინის ტურნე". როგორც თავიდანვე ჩანდა, საერთო ჯამში ყველას აჯობა ნორვეგიელმა მხტომელმა ტ. ბრანდცეგმა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ვ. კრიუკოვი (VIII ადგილი). ოფიციალურ შეჯიბრებამდე ნორვეგიელმა ბ. ვირკოლამ დაამყარა ამ ტრამპლინის ახალი რეკორდი — 110 მ.

▲ პეკინი. შესანიშნავ შედეგს მიაღწია საციგურო მრავალჭიდის ჯამში ცნობილმა ჩინელმა მალემსრბოლმა ვან ძინიუიმ. ჩინეთის ჩემპიონატზე მან მოაგროვა 182,316 ქულა (500 მ — 42,4; 5.000 მ — 7.51,5; 1.500 მ — 2.10,7; 10.000 მ — 16.24,0).

▲ ალექსანდრია. 13 ქვეყნის 1500 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას არაბეთის ქვეყნების სტუდენტთა I სპორტულ თამაშებში, რომელიც 1965 წლის ივლისში გაიმართება. თამაშების პროგრამა სპორტის 25 სახეობას შეიცავს.

▲ ალჟირი. 1965 წლის 28 ივლისს აქ გაიხსნება ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო სპორტული თამაშები. ივი 11 დღეს გასტანს.

▲ რომი. იტალიის ფეხბურთის კავშირმა 1964 წლის საუკეთესო მსაჯად დაასახელა მილანელი რაულ რიგია.

▲ მიუნხენი. დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთმა უძლიერესმა საფეხბურთო გუნდმა „მიუნჰენ-1860"-მა თანხმობა განაცხადა ნიუ-იორკის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობაზე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

შმ 05406